# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება N15

2014 წლის 29 მაისი

დ. ჩოხატაური

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის № 32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის № 32 დადგენილებაში (სსმ, 30.12.2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ა) 18-წელს ზევით ასაკის პირების, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო - სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება;

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ბ)18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად

გამოხატული შშმ პირების რომელთა სარეიტინგო ქულა 57001 დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონალური მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება“;

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ე) 0–დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახებს რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეინტიგო ქულა 70001-დან 120 000 ის ჩათვლითაა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება“.

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–15 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი15. 18 წელს ზევით ასაკის პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

მუხლი 5.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „18 წელს ზევით ასაკის იმ პირებზე, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას, მედიკამენტების შეძენას და რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა, გაეწევათ ერთჯერადი დახმარება“;

მუხლი 6.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–16 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 16. „18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000–ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება“;

მუხლი 7.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი16. „ 18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 57001-

დან 120 000 ის ჩათვლით და საჭიროებენ  სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტების შეძენას,  გაეწევათ ერთჯერადი  დახმარება.“

*საკრებულოს თავმჯდომარის*

*მოვალეობის შემსრულებელი* *მიხეილ უნგიაძე*